ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №7

დაბა ქედა,

22 ნოემბერი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:20 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;
ციური ზაქარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ნესტან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ვაჟა აბულაძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
7	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
8	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ლევან ბერიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი:12-95243201; 15.11.2024 წელი) და ძირითადად განიხილა აღნიშნულ ბიუჯეტში ასახული ინფრასტრუქტურული პროექტები.

წარმოდგენილ ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დადგენილების პროექტზე კომისიის თავმჯდომარემ დააფიქსირა შემდეგი შენიშვნები:

1. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა;
2. 2025 წლის ბიუჯეტით შესყიდული იქნეს ამწეკრანი ე.წ. „ჟირაფი“;
3. დაბა ქადაში 9 აპრილის ქუჩის №19-ში და № 20-ში მცხოვრები მოსახლეობა ითხოვს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას დასახელებული ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და კეთილმოწყობა.

კომისიის წევრმა ჯიმშერ სამნძემ აღნიშნა, რომ სოფელ საღორეთის მთაზე არ არის ელექტრო ენერგია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში.

კომისიის წევრებს სხვა შენიშვნები/წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტა:

1.კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის

(დადგენილება) პროექტის შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებული იქნეს.

2. კომისიის გადაწყვეტილება დასკვნის სახით ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:20 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნესტან ბერიძე